ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4691692

ნომერი: AR1708999

თარიღი : 25.09.2019

გაცემის თარიღი : 30.09.2019

გაცნობის თარიღი : 02.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 41 , (ნაკვეთი 12/026) ; ქალაქი თბილისი , გამზირი გამსახურდია , N 41 , (ნაკვ.12/040);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვადიმი ჭანტურია პ/ნ 62001028782
- სოხუმი ტიტოვის I ჩიხი N 10

ორგანიზაცია:
- შპს "პროლაიფი" კოდი: 405099021

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, და გაცნობებთ:

1. ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია, საკმაოდ გადატვირთულია სიმბოლოებით. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ ვიზუალური ელფერის მეტად დახვეწილი, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრაზე უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოები. „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.

აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.

ასევე, როგორც არსებულ ფოტოზე, ისევე ფოტომონტაჟზე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი შესაბამისი გაბარიტული ზომებით. გაითვალისწინეთ: სარეკლამო აბრები უნდა განათავსოთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოსადგენი იქნება იმ ფართის მესაკუთრის თანხმობა, საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად, ვის ფართზეც მოხდება სარეკლამო აბრის განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

2. #01.10.13.012.048.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე ფიქსირდება შპს „ბიემჯი ჰოლდინგსის" იჯარა, წარმოდგენილ იქნეს მისი წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.